სპორტი

№ 68 (10451)
16 აპრილი,
სამშაბათი,
1991 წ.
ფასი 10 კაპ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნახევარფინალების მიჯნაზე

ამელია-აილენდი (აშშ, ფლორიდას შტატი). ოთხი ჩოგბურთელისთვის და მათ შორის ლელა მესხისთვის აქ მიმდინარე პრესტიჟული ტურნირის მეოთხედფინალი დაუძლეველი ზღვარი აღმოჩნდა. ჩვენი თანამემამულის მეტოქე ამ ეტაპზე დიდი საჩოგბურთო ტრადიციების მქონე გვარის —სანჩესების (ესპანეთი) ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი არანტა გახლდათ, რომელიც ამელია-აილენდში მესამე ნომრად იყო განთესილი.

ლელამ თავის შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა პირველ პარტიაში — 1:6. სამაგიეროდ, მეორეში ყველაფერი იღონა, რათა გარდატეხა შეეტანა თამაშში. ერთ მომენტში იგი ახლოს იყო კიდეც მიზანთან, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა 6:7.

მიმომხილველები დარწმუნებული არიან, რომ გერმანელი შტეფი გრაფი იბრძოლებს საბრძოლო ფორმასა და ჩვეულ პოზიციებს. ყოველ შემთხვევაში, მეოთხედფინალი ნატალია ზვერევას პირწმინდად მოუგო, ისე, რომ შანსიც არ დაუტოვა — 6:0, 6:2.

ბრძოლა აც დანარჩენ ორ შეხვედრაში ყოფილა. არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ, ფაქტობრივად, გაანადგურა ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა — 6:1, 6:1, ხოლო ამერიკელმა პეტი ფენდიკმა აჯობა თანამემამულეს — ზინა ჰარისონს 6:1, 7:4. საინტერესოა, რომ ამ წყვილის შედეგი სპეციალისტებმა მოულოდნელობათა რანგს მიაკუთვნეს, ვინაიდან ფენდიკს მსოფლიო კლასიფიკაციაში დღეს-დღეობით 69-ე ადგილი უკავია.

ბარსელონა. კატალონიის დედაქალაქში მიმდინარე ვაკთა ტურნირზე ერთი სენსაცია მეორეს ცვლის. განთესილ ფავორიტთაგან ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ ტურნირის მასპინძელი ემილიო სანჩესი, რომელმაც საკმაოდ დიღი გაჭირვებით დაამარცხა ომარ კამპორეზე (7:6, 4:6, 6:3) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მეოთხედფინალის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად ამერიკელ ანდრე აგასის დამარცხებას თვლიან არგენტინელ გილერმო პერეს-როლდანთან — 6:7, 6:4, 3:6. ესპანელმა სერე ბრუგეირამ აჯობა მსოფლიო რეიტინგით მასზე გაცილებით უფრო მაღლა მდგომ ანდრეი ჩესნოკოვს — 6:0, 6:7, 7:6. სხვათა შორის, ერთი დღით ადრე ბრუგეირამ ტურნირიდან თვით ბორის ბეკერი გამოთიშა. ნახევარფინალის მეოთხე მონაწილეა არგენტინელი მარტინ ჰაიტი, რომელმაც ფინელი ველი პალოკემიო დაამარცხა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

14 აპრილს გაიმართა უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა მორიგი, VI ტურის შეხვედრები.

„ალაზანი" (გურჯაანი) — „მზიური" (გალი) 2:0

„ხამგურალი" (წყალტუბო) — „ხანავარდო" (სამტრედია) 2:0

„ოვერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 4:3

„ხულორი" (ვანი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:1

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „ცხუმი" (ხოხუმი) 3:1

„იბერია" (თბილისი) — „ბათუმი" (ბათუმი) 3:0

„გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 1:0

„ორდა" (რუხთავი) — „ქუთაისი" (ქუთაისი) 1:0

ინფორმაცია

საფრანგეთის ქალაქ ბულონ-სიურ-მერში. მოკრივეთა საქმაოდ წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა თენგიზ მესხაძემ (67 კგ) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში გამოდიოდნენ აგრეთვე, უნგრეთის, ჰოლანდიის, კუბის, ეგვიპტის, მადაგასკარის, მაროკოს, მექსიკის, სეიშლის კუნძულებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით

უველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, კერძო მრეწველს აეკრძალა ავტომობილების მინების ტონირება. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, აკრძალოს ტონირებული მინიანი ავტომობილებით სარგებლობა (გარდა ჭარხნული წესით დამზადებული და იმპორტული წარმოებისა); დამრღვევ პირთა მიმართ გაატაროს ადმინისტრაციული ზომები და დააწესოს სისტემატური კონტროლი განკარგულების შესრულებაზე.

— არაერთგზის მითითების მიუხედავად, ცალკეული საწარმოები, ორგანიზაციები და კოოპერატივები საავტომობილო მინების ტონირებისას არღვევენ სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს, რის შედეგადაც რესპუბლიკაში გახშირდა ნორმაზე მეტად დაბურული და სარკისებური მინებით აღჭურვილი ავტომობილების ექსპლუატაციის ფაქტები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოძრაობის უსაფრთხოებისა და დამნაშავეებთან ბრძოლაზე — ნათქვამია განკარგულებაში.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის

განცხადება

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, აღადგინა რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის ნება და აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ახლა, როცა რესპუბლიკა ცხოვრების ყველა სფეროში დამოუკიდებლობის გზას დაადგა, საქართველოს სპორტსმენებს, როგორც თავისუფალი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, აღარ აქვთ იერარქიული და მორალური უფლება, იასპარეზონ, როგორც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა. ამიერიდან, ყველა ფიზკულტურულ-სპორტული ხაზოგადოება, უწყება, სპორტული ფედერაცია უნდა გამოეყოს საკავშირო სტრუქტურას, ხოლო რაც შეეხება, ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობას, ეს საკითხი საქართველოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, ეს საკითხი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტებთან ცალკე მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს.

უმდიდრესი ტრადიციების ქართული სპორტი ამიერიდან მთელი თავისი შესაძლებლობებით ხალხური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერის ინტერესების სამსახურში დგება. ამასთან, ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გავწყვეტთ კავშირს ხაბჭოეთში შემავალ ცალკეულ რესპუბლიკებთან, პირიქით, ვეცდებიან, როგორც მათთან, ისე უცხოეთის სხვა ქვეყნებთან სპორტული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას, ვიბრძოლებთ, რათა რესპუბლიკამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში, განუხრელად დავიცავთ და ვუერთგულებთ მსოფლიო ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში სპორტის მაღალპუმანურ და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

ჯერჯერობით გვეხმის, რომ აღმავლობის გზით შიშავალი ქართული სპორტი ამ ეტაპზე სიძნელეებს წააწყდება. შესაძლოა, გარკვეულად დაკვეთდეს კიდეც მაღალი სპორტული მარვენებლების ზრდის ტემპები, მაგრამ ყველა დაბრკოლება უნდა გადალახოთ საერთო ძალისხმევით, დედახამშობლის, თავისუფლების სიყვარულით. ღრმად ვგულისხმობ, რომ დროებითი სიძნელეები უახლოეს მომავალში დაძლევა და, როგორც დაშოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი დეხპანები, მთელ მსოფლიოს დავანახვებთ ჩვენი ეროვნული ფენომენის დიდ შესაძლებლობებს, ამის უტყუარი გარანტია ხალართველოს ახალი, ეროვნული ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვა ჩვენში სპორტის შემდგომი აღორძინებისათვის, მისი მატერიალური ბაზის რადიკალური გაუმჯობესებისათვის. განზრახულია სტრუქტურული ცვლილებები და დახახულია ფართო მასშტაბის პროგრამები სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი გასვლისათვის, მათი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში (განწევრიანებისათვის.

ამ ეტაპზე (ეს სადღეისო, გადაუდებელი ამოცანა ისაა, რომ ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ღირსეულად აუბას მხარი ჩვენი სახელმწიფოს ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე რადიკალურ ცვლილებებს.

ვადასტურებთ, რომ როგორც თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენლები, კვლავაც მზად ვართ, ვუმასპინძლოთ საერთაშორისო შეჯიბრებებს. მაგრამ თუ ამ ეტაპზე „ცენტრი" შეეცდება მოგვწყვეტოს საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას, მას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ქართველი ერისა და მსოფლიო სპორტული საზოგადოების წინაშე. ამასთან, გამოვდივართ თანხმობით — თუკი, ხაბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკები უარს იტყვიან იმპერიული სპორტის არსებულ სტრუქტურაზე, ჩავატაროთ თავისუფალ ერთა სპორტული შეჯიბრებები.

ვიმედოვნებთ, რომ ამ განცხადებას გაგებით მოეკიდება რესპუბლიკის სპორტული ხაზოგადოებრიობა, თანამშრომლობის თვისებრივად ახალ პრინციპებზე აგებული ურთიერთობები ქართულ სპორტს ხელს შეუწყობს, ავიდეს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე.

ბანცხადება განხილულია და მიღებულია საქართველოს სპორტის დეპარტამენტში 1991 წლის 12 აპრილს გამართულ სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა ერთობლივ შეკრებაზე.

„თბილისის რკალი"! — ყველასთვის კარგად ცნობილი ეს ტრადიციული ასპარეზობა ამიერიდან სპორტის მუშაკისა და შესანიშნავი პიროვნების ნოდარ ჯანგირაშვილის სახელს დაუკავშირდება და მთავარი პრიზი მისი სახელობისა იქნება. ნოდარი 9 აპრილს, თბილისში, იმპერიული ძალების თარეშის დროს დაიღუპა.

„თბილისის რკალი" (21 ეტაპი, 8600 მ) წლეულსაც ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიგეს. მეორე ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ტექნიკუმი, მესამეზე — ჩუღურეთის რაიონის სპორტსკოლა. სპორტსმენებმა და ამ ასპარეზობის ორგანიზატორებმა გვირგვინები მიიტანეს 9 აპრილის ტრაგედიის ადგილზე.

იმავე დღეს რიყეს ტერიტორიაზე მოეწყო შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში და მკლავჭიდაში, გაიმართა აგრეთვე ერთდროული სეანსი ჭადრაკში. ეს ასპარეზობები, რომლებიც 9 აპრილს, დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა, თბილისის სპორტკომიტეტმა და „შევარდენის" საქალაქო საბჭომ ერთობლივად ჩაატარეს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



შალვა თაბუაშვილი:

„მეც ქართველი ჯარისკაცი ვიყავი...“

80 წელსაა მიტანებული, გონება და საღი აზროვნება ოდნავადაც არ დაუკარგავს ბატონ შალვა თაბუაშვილს. რაზეც გინდა შეეკითხე, ყველაფერზე გაგცემს ამომწურავ პასუხს. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს... იცის, რომ მეტწილად ჩვენ ძველი თბილისის ქუჩების, კინოთეატრების, სასტუმროების, ასე განსაკუთრებით, აფთიაქებისა და რესტორნების იმდროინდელი სახელწოდებები გვაინტერესებს.

— ახლანდელი წულუკიძის ქუჩა? — ვრუზენშტერნის, ჯორჯიაშვილის — ბარიატინსკის, საბჭოს — ჩერქეზოვის, ფურცელაძის — კალოუბნის, კეცხოველის — ლორის-მელიქოვის; სასტუმროები გნებავთ? — „მაჯესტიკი“, „ორიანტი“, „პალასი“, „ლონდონი“, „გრანდ-ოტელი“, „ჩრდილოეთის ნომრები“, „ევროპა“ (ანუ „ნოე“, როგორც მას დამოუკიდებელ საქართველოს პირველი თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიპატივსაცემოდ ეძახდნენ). ახლა კინოთეატრებს არ იკითხავთ? — „აპოლო“, „პალასი“, „დარბაზი“, „არფასტო“, „მინიონი“, „სოლეილი“, გნებავთ აფთიაქები? — „ბეზე“, „ოტენი“, „გენე“, „ზემელი“, „ოხი“; იქნებ რესტორნები გაინტერესებთ? „ელდორადო“, „ოლიმპია“, „სიმპათია“, „ქიმერიონი“...

ბატონ შალვას კარგი რეფოლუციამდელი საქალაქო ცნობარივით დიდი სიზუსტით შეუძლია „მოგატარებინოს“ ძველი თბილის-ქალაქი: „ამას წინათ შევიტყვე, რომ სადღაც მესამე მასივში ერთ-ერთი ქუჩისთვის კალოუბნის სახელი დაურქმევიათ. განა არ ჯობდა კალოუბნის ქუჩა ისევ ძველი კალოუბნისა ყოფილიყო, კინო „რუსთაველის“ გვერდით რომაა“.

...ერთ ხანს სამხედრო საავიაციო ფორმით დადიოდა, ცისფერ სამხრეებზე ორი მოზრდილი ვარსკვლავი ჰქონდა მიმაგრებული — პოდპოლკოვნიკი. ორჯერ თუ სამჯერ ჩვენს რედაქციაშიც ამოვიდა — „ლელო“ ვერ ვიშოვე, დღეს, ეტყობა საინტერესო რაღაც დაგიბეჭდავთო.

გავბედე და დავეკითხე კიდეც: ბატონო შალვა, ეს „ლოჩიკი“ კაცი სპორტით ასე რომ ხართ დაინტერესებული, სპორტსმენი ხომ არ იყავით ახალგაზრდობაში?

— რაც თავი მახსოვს, სულ სპორტს არ მივდევდი — მოგვიგო — მე ძველი სამხედრო ვარ და ისეთ გარემოცვაში ვიყავი, სპორტის გარეშე აბა როგორ გავჩერდებოდი.

ვფიქრობთ, ძველი არმიელის მონაყოლი დაინტერესებს ჩვენს ახალგაზრდებს. მით უფრო დღეს, როდესაც საქართველოს ეროვნული ჯარის აღორძინება — ქართული გვარდიის აღორძინება დაიწყო.

...19 წლის ჭაბუკი ქართველ მსროლელთა მეორე დივიზიაში ჩარიცხეს. დივიზიის მეთაური სოსო ბუაჩიძე გახლდათ, შტაბის უფროსი — გიორგი უუბანეიშვილი, დივიზიის კავშირის უფროსი — დავით ებანოიძე. დივიზიის შტაბი ალექსანდროვის ბაღთან, ყოფილ ბარიატინსკის ქუჩაზე, მდებარეობდა. მასში შემავალი სხვადასხვა ლეგიონი განლაგებული იყო თბილისში (კახეთისა და ელიზავეტას ქუჩებზე), თელავში, გორში. ზაფხულობით შალვა თაბუაშვილი კავშირგაბმულობის ბატალიონის შემადგენლობაში საბანაკოდ მიჰყავდათ ახლანდელი გლდანის მასივის მიდამოებში. უნდა ითქვას, რომ ბუაჩიძეს ძალიან უყვარდა სპორტი; დივიზიის სპორტსამსახურის უფროსს გიორგი ნარიმანიძეს პირდაპირ მოსვენებას არ აძლევდა, რაც შეიძლება მეტი ვარჯიშისა და შეჯიბრების ჩატარებას მოითხოვდა. ბუაჩიძე თავადაც მისდევდა სპორტს და სხვებსაც მოუწოდებდა, აქტიურად ჩაბმულიყვნენ; არ უყურებდა არც ასაკს, არც ჩინს.

ოცეულის მეთაურს შალვა თაბუაშვილს სხვებთან ერთად დილაადრიან გაჰყავდა თავისი ბიჭები მოთელვასა და ვარჯიშზე, რომელსაც, როგორც წესი, 3-კილომეტრიანი კროსით ამთავრებდნენ. წელს ზემოთ შიშვლები, ხაკისფერ შარვლიანი ამბიელები ასეთ ყოველდღიურ ვარჯიშს ნახევარ საათს ანდომებდნენ.

● **რომელ ენაზე იძლეოდნენ ბრძანებას მეთაურები?**

შალვა თაბუაშვილი.

— ქართულად, მხოლოდ ქართულად! აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა — ეს ხომ ქართული ჯარი იყო. სხვათა შორის, ამგვარი ეროვნული ნაწილები 1953 წლამდე არსებობდა, სანამ სტალინი გახლდათ ცოცხალი. მეორე ხრუშჩოვმა ერთთავად დაშალა ისინი ყველგან — საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიის რესპუბლიკებში...

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ დივიზიას და მისი ერთ-ერთი ასეულის ოცეულს, ბატონი შალვა რომ ედგა სათავეში.

დიდი მონდომებით თამაშობდნენ ქართველი ჯარისკაცები ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, მათთან ერთად ამ სპორტულ ბატალიებში მონაწილეობდა 40 წელს მიღწეული ბუაჩიძეც, რაც, ცხადია, უფრო საინტერესოს ხდიდა პაექრობას. თვეში ერთხელ დივიზიის პირველობები იმართებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში, აგრეთვე მძლეოსნობაში (სირბილი, ხტომა), ფარიკაობაში, ველოსპორტში, ცურვაში (მტკვარზე, წყალსადენთან) და, წარმოიდგინეთ, ლახტსა და ეგრეთ წოდებულ „გრძელ ვირში“.

— გული მწყდება, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ დაივიწყა ეს მამაპაპური ეროვნული თამაშები. არადა, რარიგ აკაქებდა ყოველივე ეს სხეულს, ავითარებდა სისწრაფეს, რეაქციას, კოორდინაციას.

● **ფეხბურთი ახსენეთ, თავად თუ თამაშობდით?**

— მარცხენა გარემარი ვიყავი, ტანმორჩილი, სწრაფი; გოლის გატანა მიყვარდა. ტყავის ბურთს ბავშვობიდან მივდევდი. ერმოლოვის ქუჩაზე მერვე შრომის სკოლის (ამჟამად 47-ე საშუალო სკოლა), მოსწავლეები ეგრეთ წოდებულ სობოროს ეზოში (მთავრობის სასახლის ადგილას) ვთამაშობდით ფეხბურთს. იქ მშვენიერი მოედანი იყო ძელებით, ესაა რომ კარებს ბადეები არ ჰქონდა. მახსოვს, ჩვენთან ხშირად მოდიოდა შოთა შავგულიძე, შემდგომში თბილისის დინამოელთა პირველი „დიდი“ კაპიტანი. იგი მეტწილად კარს უკან დგებოდა და საათობით ადევნებდა თვალყურს ჩვენს თამაშს. საქმე ისაა, რომ თავად მტკვარგაღმა, „დინამოს“ ძველ სტადიონზე (კინოთეატრ „აპოლოს“ გვერდით) ვარჯიშობდა და იქვე თამაშობდა. დავთქვით, რომ მის გუნდთან ერთ-ერთ კვირა დღეს ვითამაშებდით. აი, მხოლოდ მოედნის თაობაზე ვერ შევთანხმდით. გულდაწყვეტილი წავიდა უხმოდ. მოგვიანებით მაინც დავმეგობრდით. სხვა დინამოელ ფეხბურთელებთანაც საკმაოდ ახლოს ვიყავი — ბორია პაიჭაძესთან, არჩილ კიკნაძესთან, გვაჩი ჯორბენაძესთან, მიშა ბერძენიშვილთან, ჟორა ჭუმბურიძესთან, შურკა დოროხოვთან, კოლია სომოვთან, თენგიზ გავაშელთან, გრიშა გაგუასთან, ბორია ფოროლოვთან, გაიოზ ჯეჯელავასთან. პაიჭაძე, სხვათა შორის, ჩემი მწვრთნელიც იყო. 1937 წელს, ახლანდელი მთაწმინდის რაიალმასკომის საბინაო სამმართველოში მუშაობის პერიოდში, ჩამოვაყალიბეთ ახალგაზრდული გუნდი, მეტად პროზაული სახელწოდებით „კომ“-ი. მწვრთნელად სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ბორის პაიჭაძე მოვიწვიეთ. მან კიდევ ერთი ფოთელი — კაკო ყალიჩავა — მოიყვანა ჩვენთან და ვარჯიშსაც შევუდექით. მეტწილად ვაკეში ვთამაშობდით, იქ, სადაც დღეს ვაკის სტადიონია.

● **თქვენმა მეგობრებმა გვითხრეს, შალვას ომის შემდეგ სახელგანთქმული „ხარლეი დავიდსონის“ მოტოციკლეტი ჰქონდაო...**

— მართალია, „ხარლეი დავიდსონი“ ოფიციალურად მაჩუქეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა. საქმე ისაა, რომ ომის შემდგომ წელს თბილისში ამეტიკადიადა ... ამ დროს ... ტალეს ... ბა ... ტრაციკლეტებით საგზაფაცილო რბოლაში. იმ დღეს მე მეთორმეტე ნომრით ვასპარეზობდი. ეს ნომერი უფრო იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ჩემი ფოტოსურათი მაშინ გაზეთში დაბეჭდეს; მესამე ადგილზე გავედი კოტე ბერუჩაშვილისა და კოტე ცალქალამანიძის შემდეგ. შეჯიბრების ბოლო სახეობა 35-გრადუსიანი ბორცვის გადალახვა იყო კოჯრის გზაზე. 750 კგ. სანტიმეტრი მოცულობის 32-ცხენისძალიანი სიმძლავრის ჩემი „მწვანე რაშით“ ეშმაკობა ვიხმარე, საკმაოდ რბილი ტრასის (აქ ყველა ეცემოდა) ნატვლად ოდნავ მარცხნივ ავიღე საჭე და „მაგარი ნიადაგით“ ავედი, თუმცა კარგად მაინც ვერ მოგზომე და თხრილში ჩავვარდი. პრიზიორი კი გავხდი, მაგრამ გვარიანად დამეტეხა სხეული. საავადმყოფოში მოვხვდი. — ოღონდ გადაგვირჩი და ამ მოტოციკლეტს სულ გაჩუქებთ! მითხრეს ჩემს სანახავად მოსულმა ორგანიზატორებმა. სიტყვას საქმე მოჰყვა.

● **ალბათ, სწორედ მაშინ გამოეთხოვეთ სპორტს?**

— არა, საავადმყოფოში სულ ორი კვირა დავყავი. მერე ნელ-ნელა ისევ დავიწყე ვარჯიში, მოგვიანებით კვლავ გამოვდიოდი შეჯიბრებებში —თბილისში, ტალინში, მოსკოვში...

● **დღეს?..**

— დღეს, მოგეხსენებათ, თქვენს მეზობლად ვმუშაობ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში“. 23 წლის წინ მოვედი აქ, ჯერ მთავარი მექანიკური განყოფილების უფროსი ვიყავი, ახლა კი შრომის დაცვის უსაფრთხოების ტექნიკის უფროსი ინჟინერი ვარ.

● **ჭარმაგი მამულიშვილი, ძველი სპორტსმენი და არმიელი, რას ეტყვით აღორძინებულ ქართულ გვარდიას, თავისუფალი საქართველოს ერთგულ ახალგაზრდა მებრძოლებს?...**

— პატრიოტები იყავით ბოლომდე, არ შეუშინდეთ არავითარ მუქარას „ზემოდან“. გახსოვდეთ, თქვენ საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის იბრძვით. და კიდევ: მეტი უურადღება მიაქციეთ ფიზიკურ მომზადებას, სპორტს, გაიკაჟეთ სხეული და ჯანმრთელობა. ქართველი კაცი სულით ძლიერი უნდა იყოს!

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე.**

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

გასულ [illegible] დაიწყო საქართველოს XXI ჩემპიონატი რაგბიში. გათამაშება პირველად მოეწყობა ორ ლიგაში. უმაღლეს ლიგაში ითამაშებს 9 გუნდი, პირველში კი — ტერიტორიული პრინციპით გაანაწილებული ამერ-იმერის 6-6 გუნდი.

უმაღლეს ლიგაში შეჯიბრება ერთ წრედ გაიმართება. ამის შემდეგ უძლიერესთა ოთხეული მეორე ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას; ბოლოს კი, პირველ-მეორე ადგილებზე გასულები სუპერ-ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

გამარჯვებისთვის გუნდს 4 ქულა დაეწერება, ფრესათვის—2, დამარცხებისთვის — 1, თამაშებზე გამოუცხადებლობისათვის — 0.

უმაღლესი ლიგა. I ტური.

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 13 აპრილი.

სტუ-„ყოჩები“ (თბილისი), — „მიმინო“ (თბილისი) 6:6 (3:0).

სტუ — „ყოჩები“: თათარაშვილი, ლიპარტელიანი, ბარძიმაშვილი, გეგენავა, ჯაფარიძე; ჭეიშვილი, გიორხელიძე; გიგაშვილი, შამათავა (თეზელაშვილი), ფირიაშვილი; მაჭავარიანი, გოგეშვილი, კომლაძე, კობახიძე (ლეჟავა); დიდებულიძე.

„მიმინო“: ნოზაძე; ზ. ალანია, გეგეჭკორი, ჯ. ალანია, ბრაგვაძე (კურატიშვილი); ძნელაძე, ნატროშვილი; აბრამიშვილი ნიკურაძე, ძიძაძე (დოლიძე); მგელაძე, დევდარიანი, ფერაძე (პატარაია), ზოიძე; სულხანიშვილი.

მსაჯი: გოჩა აბაშიძე (თბილისი).

მატჩის განმავლობაში ტრიბუნაზე მაყურებელთა აღტაცება არ ცხრებოდა — შეხვედრა მართლაც „საამო იყო საცქერლად“ და, მიუხედავად ჩვეულებრივზე ორჯერ მეტად დანიშნული შერკინებებისა და აუტებისა, ე. ი. ხშირი „პაუზებისა“, გუნდებმა ისე ითამაშეს, რაგბის მოყვარულებს ნამდვილად რომ გაუხარდებოდათ.

მატჩის წინ ბევრი შიშობდა, ნეტავ დიდხანს თუ გაუძლებენ „ყოჩები“ მეტოქესო. მაგრამ მოხდა პირიქით — ჯერ კობახიძემ შეაგდო საჯარიმო, შემდეგ ბარძიმაშვილმა ჩაჭრა გადაცემა, თუმცა ძალა არ ეყო და ვეღარ გაექცა მეტოქეებს; ტაიმის ბოლოს კი გეგენავამ რამდენიმე მიმინოელთან ჭიდილში ლელო გაიტანა, მაგრამ მსაჯმა იგი არ ჩათვალა.

მიმინოელები ამას არ ელოდნენ, ალბათ ამიტომ, მათ დამრტყმელებს ექვსი საჯარიმო გაუცუდდათ. მაგრამ ისინი თანდათან ათამაშდნენ და პირველი ტაიმის ბოლო წუთზე „მიმინოს“ კაპიტანი ზოიძე კუთხის ალამთან შებოჭა თათარაშვილმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე ადგილზე ბრაგვაძე შეაჩერა მაჭავარიანმა, ამასობაში თათარაშვილმა საჯარიმო გარტანა და „ყოჩებიც“ დაწინაურდნენ — 6:0.

აქედან მოყოლებული „მიმინო“ იერიშზე გადავიდა, „ყოჩები“ კი ახგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ და კარგა ხანს წარმატებით იცავდნენ თავს, მაგრამ თამაშის დამთავრებას შვიდი წუთი აკლდა, როცა მათ წააგეს საკუთარი შერკინება, ამით ისარგებლეს მიმინოელთა სამმეოთხედელებმა და ზურაბ ალანიას ლელო გაატანინეს, რომელიც ნოზაძემ გარდასახა. ასე დაკარგეს „ყოჩებმა“ უპირატესობა, ფაქტობრივად, მთელი მატჩის მანძილზე რომ ფლობდნენ.

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 14 აპრილი.

„ზოოვეტი“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ჭიათურა) — 8:18 (8:10).

„ზოოვეტი“: გ. ცინცაძე; ლეკვეიშვილი, კეკელიძე (წოწელია), კიკნაძე, მურვანიძე, თ. ცინცაძე, კობალავა; ჯუღელი, ჭიპაშვილი, ჭილლაძე; ჯოხია, ცხვირაშვილი, ჩანქსელიანი, ლაბაძე; ჭურღულაშვილი,

ქულები: 2 ლელო (ცხვირაშვილი, მურვანიძე).

„იმერეთი“: მამისეიშვილი; საცერაძე, გიგა გიორგაძე, ტუემალაძე, (შეულაშვილი), კობიაშვილი; გ. ბურჯანიძე, ხუციშვილი; ვაშაძე (გოჩა გიორგაძე), ხარშილაძე, შუბითიძე; ნიწილაშვილი, იაკობიძე, კაპანაძე, მესხი; ხიკინჭელაშვილი.

ქულები: 4 ლელო (საცერაძე-2, შეულაშვილი, გიგა გიორგაძე), 1 გარდახახვა (ბ. ბურჯანიძე).

მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).

* * *

ამავე დღეს ქუთაისის „გელათმა“ მიიღო თბილისის „აკადემია“ და გაიმარჯვა — 12:3. თბილისის „ვესტა“ არ ჩავიდა ქუთაისში ადგილობრივ „აიასთან“ სათამაშოდ.

თბილისის „შევარდენი“ ამ ტურში ისვენებდა.

* * *

I ლიგა.

ამერის ჯგუფი.

სამედიცინო ინსტიტუტი — „თბილისი“-„აკადემია-2“ (თბილისი) 19:0.

„ივერია“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი“ (თბილისი) — 9:9.

„რუსთავი“-1990“ (რუსთავი) — „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — 6:0.

იმერის ჯგუფი.

„აიეტი“ (ქუთაისი) — „სათაფლია“ (წყალტუბო) 12:12.

„ჯანი“ (ჩოხატაური) — „გელათის სკოლა“ (ქუთაისი) — 25:12.

ზემოთ: — ზუზანა კორინკოვა კულტურიზმის საკუთარ ცენტრში.

მარცხენა: ზუზანა კორინკოვა ცენტრში. რომელსაც „ზუზანა“ ჰქვია. 300 მოყვარული მეცადინეობს. ცენტრში 50-მდე სხვადასხვა სპორტული იარაღია, რაც ხელს უწყობს მოვარჯიშეებს, სრულიად თავისუფალი სხეული.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემიონატის მორიგი მე-5 ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „სიხარული-90“ (გაგრა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0, „იმერეთი“ (ხონი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:2, „ქართლი“ (გორის რნი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0, „შექურა“ (ქობულეთი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1, „სქური“, (წალენჯიხა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 3:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 3:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0.

„მალმიოს“ დიდი გეგმები

შვეიცის მრავალგზის ჩემპიონ „მალმიოს“ ფრიად შეძლებული სპონსორები გამოუჩდნენ. ამიტომ, შვეიცის ამ პოპულარული კლუბის დირექტორატი აპირებს პირველხარისხოვანი კოლექტივის შექმნას და აცხადებს, რომ სულაც არ მოერიდება მნიშვნელოვანი სახსრების გაღებას.

ახლა „მალმიოს“ წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ მთელ რიგ ცნობილ ფეხბურთელებთან, ისეთებთან, როგორებიც არიან საფრანგეთის ნაკრების ყოფილი წევრი, თავდამსხმელი დიდიე სიქსი, კამერუნელები: როჟე მილა, თომას ნ' კონო, და სხვა ოსტატები რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და პოლონეთიდან.

საქართველოს ჩემპიონატი მინიფეხბურთში

„ვაკემ“ და „იმედმა“ პირველობა შეაბიჯეს შეაღლეს ლიგაში

მინიფეხბურთში საქართველოს პირველი ჩემპიონატის დაწყებას, რომელიც სპორტის ამ სახეობის რესპუბლიკური ასოციაციის გადაწყვეტილებით ტარდება, ყველა დიდი ინტერესით მოელოდა. 10 აპრილიდან, როგორც დაგეგმილი იყო, თბილისში ჩემპიონატის პირველი შეხვედრები გაიმართა. „ა“ ჯგუფში გამოდიან თბილისის „ვაკე“ და „იმედი“, ქუთაისის „კოლხა“, სენაკის „არქეოპოლისი“, ქობულეთის „გვარა“ და წითელხევის „იმედი“.

გაგაცნობთ შეხვედრათა შედეგებს: „იმედი“ (თბ) — „გვარა“ 8:1, „იმედი“ (წთ) — „ვაკე“ 2:3, „არქეოპოლისი“ — „კოლხა“ 4:3, „ვაკე“ — „არქეოპოლისი“ 9:4, „იმედი“ (თბ) — „იმედი“ (წთ) 7:1, „გვარა“ — „კოლხა“ 8:2, „იმედი“ (თბ) — „ვაკე“ 3:5, „გვარა“ — „არქეოპოლისი“ 6:5, „იმედი“ (წთ) — „კოლხა“ 0:2, „გვარა“ — „იმედი“ (წთ) 2:2, „იმედი“ (თბ) — „არქეოპოლისი“ 5:2, „ვაკე“ — „კოლხა“ 5:2, „იმედი“ (წთ) — „არქეოპოლისი“ 2:6, „ვაკე“ — „გვარა“ 2:1, „იმედი“ (თბ) — „კოლხა“ 3:0.

სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განაწილდნენ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ვაკე“ (თბილისი)	5	5	0	0	24-12	10
2. „იმედი“ (თბილისი)	5	4	0	1	26-9	8
3. „გვარა“ (ქობულეთი)	5	2	1	2	18-19	5
4. „არქეოპოლისი“ (სენაკი)	5	2	0	3	21-25	4
5. „კოლხა“ (ქუთაისი)	5	1	0	4	9-20	2
6. „იმედი“ (წითელხევი)	5	0	1	4	7-20	1

(თბილისის „ვაკე“ და „იმედი“ ავტომატურად მოხვდნენ უმაღლეს ლიგაში. წითელხევის „იმედი“ და ქუთაისის „კოლხა“ პირველ ლიგაში ითამაშებენ. რაც შეეხება „გვარასა“ და „არქეოპოლისს“, ისინი დამატებით ტურნირში იასპარეზებენ, რის შემდეგაც წერტილი დაესმება ლიგების დაკომპლექტებას.

წესრიგის დარღვევისათვის 5-5 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი ფრიდონ ზირაქაძე და კონსტანტინე მელაძე (ორივე — „იმედი“, წითელხევი); თამაზ ზერეკიძე („იმედი“, თბილისი) სამ მატჩ გამოტოვებს.

„მე შემიყვარდა საქართველო“

როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, შარშან საქართველოს რამდენიმე გუნდმა შემადგენლობის გასაძლიერებლად ლიტველი ფეხბურთელები მოიწვია. უმაღლესი ჯგუფის გუნდებში შვიდი ლიტველი თამაშობდა. პირველ ჯგუფში — სამი, მეორეში კი — ორი. მათ შორის იყვნენ ალიარებული და ცნობილი ოსტატები ვილნიუსის „ჟალგირისიდან“. სეზონის დამთავრების შემდეგ მათი უმრავლესობა დაუბრუნდა შობლიურ გუნდს. ზოგმა უცხოეთის კლუბებს მიაშურა, ზოგიც ევროპულ სარბიელზე გასასვლელად ემზადება და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გუნდებში გამოდის, რათა გაიიოლოს უცხოეთში წასვლის გზები.

საქართველოში დარჩა ორი ლიტველი ოსტატი: თელავის „კახეთის“ კარის დარაჯი ა. კონციავიჩუსი და ა. ბრიაუნისი — ხაშურის „ივერიის“ გოლკიპერი.

ამას წინათ, გაგრის „სიხარული-90“-ისა და თელავის „კახეთის“ მატჩის შემდეგ, გავესაუბრეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს არვიდას კონციავიჩუსს.

● **დასაწყისისათვის, ცოტა რამ გვიამბეთ თქვენს შესახებ. გვითხარით, ისიც, როგორ მოხვდით თელავის „კახეთში“?**

— დავიბადე 1963 წელს კაუნასში, ჩემი პირველი მწვრთნელი იყო სტასის სტანკუსი. 1981 წლიდან ვილნიუსის „ჟალგირისში“ გამოვდიოდი — ჯერ სათადარიგო გუნდში, შემდეგ კი ძირითად შემადგენლობაში, 1990 წელს, ლიტვისა და საქართველოს ნაკრებების მატჩის შემდეგ, რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ თქვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. სწორედ მაშინ შემომთავაზეს თელავის „კახეთის“ ხელმძღვანელებმა მათ გუნდში თამაში. რა თქმა უნდა, დაეთანხმდი და არც ვნანობ, რადგან საქართველოს ჩემპიონატში ბევრი კარგი გუნდია და სათანადო სპორტულ ფორმასაც ვინარჩუნებ. თელავში ყველა ზირობა მაქვს შექმნილი ნორმალური ვარჯიშისა და ცხოვრებისათვის. შარშან მეუღლე იოლანტა და ოთხი წლის ქალიშვილი გრეტა ჩამოვიყვანე. მეუღლე ბავშვს უვლის, ორივენი ბეჯითად სწავლობენ ქართულს და, სხვათა შორის, უკვე ახერხებენ მოსახლეობასთან ურთიერთობას.

● **ცხადია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე უკვე ჩამოგიყალიბდათ საკუთარი აზრი...**

— ძალიან მომწონს, რომ თქვენი ჩემპიონატის მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება, თელავის „კახეთს“ კი მართლაც დეტრანდები — 10 ათასამდე გულშემატკივარი მუდამ მხარში უდგას. თქვენთან ფეხბურთი სხვანირად უყვართ, ამიტომ, მხარდაჭერაც ძლიერია. მთავარია, რომ ქართველმა ხალხმა საქმით დაუჭირა მხარი ეროვნულ ჩემპიონატს. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ფეხბურთელებს უმაყურებლოდ თამაში უჭირთ. სამწუხაროდ, ახლა ლიტვაში, ბალტიის ჩემპიონატის მატჩებზე ცოტა გულშემატკივარი დადის.

● **შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ თქვენ ლიტვაში ბრძანდებოდით. სად იყავით 12-13 იანვარს, ტრაგედიის დროს?**

— ნოემბერ-დეკემბერში ყველა ფეხბურთელი საქართველოდან საშობლოში დაბრუნდით. შევიკრიბეთ „ჟალგირისის“ ბაზაზე. ვარჯიშიც დავიწყეთ. სხვათა შორის, ზელკიავიჩუსი ახლაც ძველებური მონდომებით ავარჯიშებს გუნდს.

12-13 იანვარს ვილნიუსში ვიყავით. არავინ ელოდა, ასეთი ტრაგედია თუ დატრიალდებოდა. მახსოვს, ლიტვის ტელევიზიის დიქტორის ბოლო სიტყვები: „ძალის სროლა, ისინი გვიპყრობენ“.

დაგეწყო 13 იანვრის ტრაგედიის მსხვერპლთა დაკრძალვა. ლიტვის ტელევიზიით რამდენჯერმე ვნახე საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლები ვილნიუსში გამართულ სამგლოვიარო მიტინგებზე. საქართველო სოლიდარობას უცხადებდა ლიტვას.

● **ბოლო კითხვა: თქვენ გააგრძელეთ კონტრაქტი თელავის „კახეთთან“. რატომ?**

— ძალიან შემიყვარდა აქაურობა, პატივს მცემენ... მეც ძალიან არ ვეჩოგავ და კეთილობ. დავუბრუნდი გუნდს სანუკვარი მიზნის მიღწევაში — გუსურს „ვოსპარეზოს“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში. მე დავრჩი, რადგან თანაგუნდელებთან და ხელმძღვანელებთან ძალიან გულთბილი ურთიერთობა მაკავშირებს. ადამიანური ურთიერთობები კი ახლა, ჩვენს დაბაბულ დროში, ერთობ ფასეული და მნიშვნელოვანია.

ეხაუბრა თენგიზ პაპაკორია.

„ლელოს“ სპ. კორ.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

DEFA

დაველოდოთ 24 აპრილს

მიაღწიო ევროპის საკლუბო ტურნირის ნახევარფინალს და ამ ეტაპზე პირველივე შეხვედრა წააგო. ისიც შინ — მართლაც, იშვიათი რამაა და ადვილი გასაგებია მიუხვნენის „ბაიერნის“, პოლონეთის „ლეგიის“, მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივართა ახლანდელი მდგომარეობა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნახევარფინალების წრილისყრა მოეწყო, საფრანგეთის „მარსელის“ მწვრთნელს რაიმონ გუტალსს სიხარულით აღმოხდა: „მადლობა ღმერთს, რომ იუგოსლავიელები არ შეგვეხვდნენ მეტოქედ!“ მწვრთნელები კარგად იცნობენ საერთაშორისო ფეხბურთის კონიუნქტურას. ამიტომაც ახლა უკვე აღარ გვიკვირს, რომ მიუხვნენის „ბაიერნმა“ ჩემპიონთა თასზე შინ ანგარიშით 1:2 წააგო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“, თორემ სხვა შემთხვევაში ამ მატჩის შედეგს საუკუნის სენსაციად მონათლავდნენ. ეტყობა, რ. გუტალსმა კარგად იცოდა იუგოსლავიელ ფეხბურთელთა ახლანდელი სიძლიერე, ან, პოლონეთის „ლეგიას“ კი დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის წინ. ამიტომაც მისი წაგება თასების მფლობელთა თასზე (1:3) გაოცებას არ იწვევს; მაგრამ მოსკოვის „სპარტაკის“ მარცხი საკუთარ მინდორზე „მარსელთან“ ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან სპარტაკელებს გაცილებით უკეთესი შედეგის იმედი ჰქონდათ, მათ საგანგებოდ იმოგზაურეს კიდეც იაპონიაში, რათა შეენარჩუნებინათ სპორტული ფორმა ძლიერ მეტოქესთან საბრძოლველად. ვინც კი ნახა „სპარტაკისა“ და „მარსელის“ 10 აპრილის მატჩი ტელევიზიით, დაგვეთანხმება, რომ საფრანგეთის გუნდი გაცილებით მომგებიანად გამოიყურებოდა მინდორზე და თამაშის სადაოებიც მტკიცედ ეპყრა ხელთ.

მიუხვნენის „ბაიერნს“ იშვიათად თუ წაუგია საკუთარ მინდორზე ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩი და ამ შეხვედრაშიც ტრადიციისამებრ მოქმედებდა. 22-ე წუთზე თავი გამოიჩინა თავდამსხმელმა ვოლფარტმა, რომელმაც ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. მაგრამ „ცრვენა ზვეზდას“ ფარ-ხმალი არ დაუყრია და შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე პანჩევმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

ეს გაშვებული გოლი ჩემპიონთა თასის სამგზის გამარჯვებულისთვის თავისებურ ფსიქოლოგიურ ხლუდად იქცა. შესვენების შემდეგ უპირატესობას ძირითადად იუგოსლავიელები ფლობდნენ. მათი თავდამსხმელები რამდენიმეჯერ აღმოჩნდნენ საუკეთესო პოზიციაში, ბოლოს. 70-ე წუთზე, სარჩევიჩმა დაახლოებით საჯარიმო მოედნის ხაზიდან გაგზავნა მეორე ბურთი მასპინძელთა კარში — 2:1. რა თქმა უნდა, სტუმრად გამარჯვება ევროპულ სათასო ტურნირში ძალიან ბევრს ნიშნავს, თუმცა, ის, რაც „ცრვენა ზვეზდამ“ გააკეთა მიუხვნენში, „ბაიერნსაც“ ხომ შეუძლია გაიმეოროს ბელგრადში?..

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ გამარჯვება პოლონეთში იმის მომასწავებელია, რომ ეს გუნდი ალბა თასების მფლობელთა თასის მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი გახლავთ. ვინაიდან უკვე მაშინ, როცა ინგლისელები იგებდნენ შეხვედრას, პოლონელთა მეკარემ რობაკევიჩმა, სულ ცოტა, რამდენიმე ნაღდ გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი.

100 ათასი მაყურებელი დაესწრო ესპანეთის „ბარსელონას“ შეხვედრას იტალიის „იუვენტუსთან“. პირველი ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა „იუვენტუსმა“. ჯახრაგამ მიუსწრო ფერერას გადაცემას მეკარე სუბასერატასთვის, მაგრამ შემდგომში სტოიჩკოვმა 56-ე და მე-60 წუთებზე ორი გოლი გაიტანა, ხოლო 75-ე წუთზე გოიკოეჩეამ წერტილი დაუსვა ანგარიშს — 3:1.

ასე რომ, თუ ჩემპიონთა თასზე ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ „ბაიერნსა“ და „ცრვენა ზვეზდას“ შორის, თასების მფლობელთა თასზე ერთი ფინალისტის დასახელება თამამად შეგვიძლია — ესაა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“. ამავე ტურნირში „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“ შორის გამარჯვებულს ჯერ კიდევ უნდა დაველოდოთ.

უეფა-ს თასზე იტალიის „რომამ“ დანაში შეძლო სასურველი შედეგი მოეპოვებინა „ბრონდბიუსთან“ (0:0), ასევე სავსებით დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს იტალიის „ინტერისთვის“ შედეგი 0:0 სტუმრად პორტუგალიის „სპორტინგთან“.

ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალურმა მატჩებმა თითქოს გარკვეული სიცხადე შეიტანეს ფინალისტთა გამოვლენის საკითხში, მაგრამ მაინც 24 აპრილის საპასუხო შეხვედრები ბევრს საინტერესოს გვპირდება.

მატჩი, რომელიც

ბევრს გაარკვევს

უნგრეთის ფეხბურთის არაერთი ადრინდელი ტრიუმფი ახსოვს, მაგრამ დაახლოებით 60-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული ვერაფერით დაიკვეხნის. დაანება თუ არა თამაშს თავი ალბერტისა და ბენეს თაობამ, ღირსეული შემცვლელები ვერა და ვერ გამოინახა. 1978, 1982 და 1986 წლებში უნგრელთა ნაკრები კიდევ ახერხებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლას, 1990 წელს კი ესეც ვერ შეძლო. ერთ მწვრთნელს მეორე ცვლიდა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1987 წლიდან მოყოლებული ზედიზედ 6 მწვრთნელი „მოიცვალა (ახლა მეშვიდე „ოუშაობს), კვლავ დანიშნულმა ადრინდელმა ხელმძღვანელმა დიერდ მეზეიმ, მაგალითად, მხოლოდ ნახევარი წელი გაძლო. 1989 წლის დასაწყისიდან ნაკრებს ბერტალან ბიჩკი ჩაუყენეს სათავეში, მაგრამ ვერც ის გახდა ვერაფერს — გუნდს მსოფლიო პირველობის საგზური ვერ მოუპოვა და გაათავისუფლეს. ბიჩკი ცოტა ჯიუტი კაცი აღმოჩნდა, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციას სასამართლოში უჩივლა, კონტრაქტი 1992 წლამდე ქონდაო. მწვრთნელმა ფულადი კომპენსაცია კი მიიღო, მაგრამ, როდის იყო, სასამართლო ფეხბურთის საქმეებს შველოდა!

ბიჩკი კალმან მესეიმ შეცვალა, რომელიც 1980-83 წლებში ხელმძღვანელობდა ნაკრებს და, როგორც ახლა მიაჩნიათ, არცთუ ურიგოდ. მესეი 50 წლისაა. ადრე, როგორც მოგეხსენებათ, ცნობილი ცენტრალური მცველი იყო. 1949 (8 წლის ასაკიდან) — 1974 წლებში ბუდაპეშტის კლუბ „ვაშაშის“ გუნდებში თამაშობდა — ბავშვთა, ჭაბუკთა და ძირითად შემადგენლობაში, მონაწილეობდა მსოფლიო 1962 და 1966 წლების ჩემპიონატებში. 1961-71 წლებში ნაკრებში 61 მატჩი ითამაშა და 6 ბურთიც გაიტანა.

რა შეიძლება ითქვას უნგრეთის ნაკრების შედეგებზე მესეის დაბრუნების შემდეგ? რა თქმა უნდა, რაიმეს ხელაღებით მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ ერთგვარი „გამოკეთება“ გუნდს თითქოს ეტყობა: თუ 1989 წელს ნაკრებმა 9 მატჩიდან 3 წააგო (აქედან ორი, იტალიელებთან და ესპანელებთან, ერთნაირი ანგარიშით 0:4), მხოლოდ 2 მოიგო და 4 ფრედ დაასრულა (1:1 მალტელებთან ბუდაპეშტში!), 1990 წლის სეზონის შედეგები უკეთესი იყო — 10 მატჩიდან 5 მოგება, 2 ფრე და 3 წაგება. მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ უნგრელები ლიდერობენ ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში და, ეტყობა, გადაჩვეულებს ეხამუშებათ კიდეც ეს როლი.

უნგრელებს 4 თამაშიდან 6 ქულა აქვთ. ნორვეგიელებთან ოსლოში და შინ იტალიელებთან ფრედ დაამთავრეს თამაში, ორჯერ მოუგეს კვიპროსელებს. აქ რაიმე მოულოდნელობა არ მომხდარა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბუდაპეშტში იტალიელები ძლივს გადარჩნენ, თუმცა თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდნენ.

მესეიმ საფუძვლიანი მომზადების შემდეგ გადაახალისა გუნდი. იტალიელებთან თამაშობდნენ: პეტრი, დისტლი, გარაბა (ფოდორი), ლიმპერგერი, მონოში, კოზმა (ურბანი), ბოგნარი, ლერინცი, შალმა, სიპრიხი, ჯ. კოვაჩი.

მატჩის შემდეგ მესეი ვერ მალავდა კმაყოფილებას და თქვა, რომ მისი გუნდი აღორძინების გზით მიდის. მან მართლაც კარგად იმუშავა, გუნდის შემადგენლობაში ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეების დიდი ჯგუფი შეიყვანა. 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატში მოთამაშე ვეტერანთაგან (როცა უნგრელებმა მართლაც არნახული მარცხი — 0:6 იგემეს საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში), დღეს ნაკრებში არიან გარაბა, კიპრიხი, დეტარი და ბოგნარი.

1989 წელს ნაკრების კარს უცვლელად იცავდა პეტერ დისტლი (მცველის ძმა). მესეიმ მიიჩნია, რომ პეტრი მასზე უკეთესი და საიმედო იყო. და აი, მთელი 1990 წლის მანძილზე იგი უცვლელად თამაშობდა და თითქოს გადაწყდა კიდეც მეკარის პრობლემა (ამას, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სჭირდება დამტკიცება), რომელიც უნგრეთში, არც მეტი, არც ნაკლები, იმ დროიდან არსებობს, რაც სახელოვანმა გროშიჩმა 1962 წელს (!) თავი დაანება თამაშს.

დაცვა (ლ. დისტლი, გარაბა, მონოში, შალმა) საიმედოდ თამაშობს. შუა ხაზზე ბოგნართან, ნადსა და ლერინცთან ერთად ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ლიმპერგერი, რომელსაც მესეიმ გუნდში დაბრუნებისთანავე მიაქცია ყურადღება. ცოტა გაურკვეველია დეტერის საკითხი. თავის დროზე მასში პირდაპირ ზღაპრული თანხა გადაიხადეს ჯერ მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“, შემდეგ პირეოსის „ოლიმპიკოსმა“, მასზე ძვირად ევროპაში მხოლოდ მარადონა თუ ფასობდა. ახლა ლიმპერგერი „ბოლონიაში“ გამოდის. 1990-91 წლების სეზონის მანძილზე ხან ტრავმა ჰქონდა, ხან უფერულად თამაშობდა. მესეი მას აცხადებს ხოლმე გაფაფრთოებულ შემადგენლობაში, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც ბუდაპეშტში უთამაშია იტალიელებთან, არც სანტანდერსა და ლიმასოლში. თავდასხმაში უნგრელები ხან ორი ფორვარდით ითამაშობენ (ფრიად პერსპექტიული კალმან კოვაჩი და ვეტერანი კიპრიხი), ხან სამით (ფიშერი), რა თქმა უნდა, იმის მიუხედავად, რა კონკრეტულ მიზანს ისახავენ.

ერთი სიტყვით, 17 აპრილს, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ნაკრებების მატჩის წინ ევროპის პირველობის ერთადერთ საგზურს სულ სრულიად რეალური პრეტენდენტი ჰყავს: იტალიის, უნგრეთის და საბჭოთა კავშირის გუნდები. ასეთ პირობებში შეხვედრას ბუდაპეშტში მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბივი თორელი

ეს-ესაა შევიგებეთ...

„ლინჩის სასამართლო“ მოუწყვეს

მას შემდეგ, რაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დიეგო მარადონას კოკაინის მიღებაში მხილებისათვის 15 თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ერთი კვირა გავიდა. ამ ხნის მანძილზე არგენტინელმა ფეხბურთელმა ათასობით მხარდაჭერის დეპეშა მიიღო. მისი მენეჯერის მარკოს ფრანკოს განცხადებით, მარადონას ყველაზე მხურვალედ მხარს ნეაპოლელი გულშემატკივრები უჭერენ, რომლებიც ვლიან, რომ არგენტინელ ფეხბურთელს იტალიელმა ფუნქციონერებმა „ლინჩის სასამართლო“ მოუწყვეს.

მარადონას მხარეს დადგა, ფაქტობრივად, მთელი მისი კლუბი. ჯანფრანკო ზოლას მტკიცებით, „ფედერაციის განაჩენი 30 წლის ვეტერანის მიმართ ერთობ მკაცრია და ანტიჰუმანური. ამავე დროს ფედერაციის ფუნქციონერებს არ ესმით, რომ ეს სასჯელი, ფაქტობრივად, ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას ნიშნავს“.

კოკაინის თემას, ოღონდ სხვა უთხით, ეხება მარადონას ადვოკატი ვინჩენცო სინისკალკი. იგი ბობს, რომ „ამ ნარკოტიკული შეალების მოქმედების ვადა მთავდება მიღებიდან ოთხ საათში, ალიზმა კი აჩვენა, რომ „წამლ- მიღების შემდეგ გასული იყო ულ ცოტა 36 საათი“.

ამასობაში არგენტინის ნაკრებ- მწვრთნელი ალფიო ბაზილე ადონას ბუენოს-აირესში ეპა- ებდა და გუნდთან ერთად ვარ- ეშს სთავაზობს. მისი განცხადე- ით, „ფეხბურთელს შეუძლია და- ავოს ადგილი ნაკრებში. როგ- ც კი გავა დისკვალიფიკაციის და“.

აგრამ, როგორც ეურნალისტ- ი აღნიშნავენ, მარადონას გან- უთრებით აქტიურად უჭერენ არს ნეაპოლში და ეს გასაგებია, ვინაიდან, მას რამდენიმე რერდი აქვს დამყარებული „ნაალიში“. სტატისტიკოსები აღნიავენ, რომ იტალიაში მოთამაშე ც ერთ უცხოელ ფეხბურთელს ჰქონია ასეთი ბრწყინვალე ედეგი — 250 მატჩი და 115 განული გოლი. ამავე დროს, ანარიში ეწევა იმასაც, რომ მარადონამ „ნაპოლი“. ფაქტობრივად, ორჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი.

• • •

გაიმართა ევროპის ქვეყნების ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

იტალია

ლიდერთა სამეული უცვლელია

29-ე ტურს ლიდერთა სამეული არ შეუცვლია. „სამპდორიამ“ სტუმრად მოუგო „რომას“ მინიმალური ანგარიშით (1:0) და სატურნირო ცხრილში საპირო 2 ქულა ჩაიწერა. ეს ერთადერთი გოლი თამაშის 49-ე წუთზე გაიტანა ვერხოვოდმა.

ერთპიროვნულ ლიდერს არც მისი უახლოესი მდევარი „ინტერი“ ჩამორჩა, რომელიც „ჩეზენას“ მასპინძლობდა. შეხვედრის 28-ე წუთზე ანგარიში გახსნა მილანელმა ბერგომმ, შესვენების შემდეგ კი (75-ე წუთზე) მათეუსმა ანგარიში ორამდე გაზარდა. 2:0. — „ინტერმა“ სატურნირო ცხრილში მე-16 გამარჯვება ჩაიწერა.

სტუმრად გაიმარჯვა „მილანმა“. პიზაში მან ადგილობრივ კლუბს აჯობა — 1:0. ამ ტურში სტუმრად კიდევ ერთმა გუნდმა იმარჯვა: „პარმამ“ ბოლონიაში მასპინძელთა გუნდს სძლია ანგარიშით 3:1.

დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასე:

„ბარი“ — „ფიორენტინა“ 0:0
„კალიარი“ — „ლეჩე“ 2:0
„ჯენოვა“ — „ლაციო“ 3:1
„იუვენტუსი“ — „ტორინო“ 1:2
„ნაპოლი“ — „ატალანტა“ 2:0

29 ტურის შემდეგ გათამაშების საუკეთესო ბომბარდირთა სიას ერთპიროვნულად ლიდერობს „სამპდორიასა“ და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვიალი, რომელმაც 16 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზეა „ინტერის“ გერმანელი ნახევარმცველი მათეუსი — 15 გოლი.

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სამპდორია“	17	9	8	43
„ინტერი“	16	9	4	41
„მილანი“	16	8	5	40
„იუვენტუსი“	12	9	8	33
„ჯენოვა“	12	9	8	33
„პარმა“	12	9	8	33
„ტორინო“	11	10	8	32
„ატალანტა“	10	10	9	30
„ლაციო“	6	18	5	30
„რომა“	9	11	9	29
„ნაპოლი“	8	13	8	29
„ფიორენტინა“	7	12	10	26
„ბარი“	8	9	12	25
„კალიარი“	5	13	11	23
„ლეჩე“	5	12	12	22
„პიზა“	7	6	16	20
„ჩეზენა“	5	8	16	18
„ბოლონია“	3	9	17	15

ბერმანია

სენსაცია 25-ე ტურში

ასეთ შედეგს, დარწმუნებული ვართ, „ჰამბურგის“ ყველაზე გულშხურვალე თაყვანისმცემლებიც არ ელოდნენ. ამ კლუბმა ფრანკფურტში „ნოკაუტით დაამარცხა“ ადგილობრივი „აინტრახტი“ — ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა.

ამ ტურში სტუმრობმა კიდევ ორჯერ იმარჯვეს: დიუსელდორფის „ფორტუნამ“ მოუგო იურდინგენის „ბაიერს“, („კოლონმა“ კი დორტმუნდის „ბორუსიას“. ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა 2:1.

რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს, ისინი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს: „ბაიერნი“ („მიუნხენი) — „ვერდერი“ (ბრემენი) 1:1. „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „კაიზერსლაუტერნი“ 2:2.

სხვა მატჩების შედეგები:

„ნიურნბერგი“ — „ბოჰუმი“ 3:2.
„ჰერტა“ — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) 1:1
„ვატენ-შაიდი“ — „შტუტგარტი“ 2:2
„ზანქტ-პაული“ — „კარლსრუე“ 2:0.

ლიდერთა სამეული გამოიყურება ასე: „კაიზერსლაუტერნი“ — 35 ქულა, „ვერდერი“ — 33, „ბაიერნი“ — 32.

საფრანგეთი

აქ ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურიღა დარჩა. გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს „მარსელი“, რომელმაც ბოლო ტურში დაამარცხა „ნანსი“ საკმაოდ დიდი ანგარიშით — 6:2. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „მარსელისა“ და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ნაიპერმა პაპენმა „ჰეთთრიკი“ „შეასრულა“. „მარსელს“ 47 ქულა აქვს. მას სამი ქულით ჩამორჩება „მონაკო“, რომელმაც, ამავე დროს, ერთი მატჩით მეტი ითამაშა.

ბომბარდირთა სიაში პირველ ადგილზეა პაპენი — 22 გოლი.

ინგლისი

მორიგი მატჩები დამთავრდა ასე: „ქოვენთრი“ — „დერბი ქაუნთი“ 3:0, „საუთჰემპტონი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „ლუთონი“ — „უიმბლდონი“ 0:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:2, „ევერტონი“ — „ჩელსი“ 2:2.

გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა“ აჯობა „ლიდს იუნაიტედს“ 5:4, „კრისტალ პალასმა“ და „ასტონ ვილამ“ კი ფრედ (0:0) ითამაშეს.

შოტლანდია

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს: „რეინჯერსი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 3:0, „დანდი იუნაიტედი“ — — „სელტიკი“ 2:1, „დანფერმლაინი“ — „სენტ-მირენი“ 2:2, „ჰართსი“ — „აბერდინი“ 1:4.

„პორტლენდი“ — აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით

ნბა-ს ჩემპიონატზე სამ დივიზიონში გამარჯვებულთა ვინაობა უკვე ცნობილია. ატლანტის დივიზიონში საუკეთესო შედეგი აქვს „ბოსტონს“, ცენტრალურ დივიზიონში — „ჩიკაგოს“, წყნარი ოკეანის დივიზიონში კი „პორტლენდს“. ჯერჯერობით გაუგებარი მდგომარეობაა მხოლოდ შუა-დასავლეთის დივიზიონში. აქ სამმა გუნდმა გაინაღა „პლეი-ოფის“ სერიებში თამაშის უფლება, მაგრამ უძლიერესის ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი. დივიზიონში გამარჯვების მოპოვება შეუძლია სამივე კლუბს: „სან-ანტონიოსაც“, „იუტასაც“ და „ჰიუსტონსაც“.

შაბათის ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად შეიძლება ჩაითვალოს წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერთა — „პორტლენდისა“ და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ორთაბრძოლა, რომელიც პორტლენდმა მოიგო— 118:113. ამ კლუბს ნბა-ს ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობაშვიდ კოლექტივს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს: ყველაზე მეტი გამარჯვება (61), ყველაზე ცოტა დამარცხება (18) და ყველაზე მაღალი პროცენტი (772).

„პორტლენდის“ კალათბურთელებმა თავი კვირის მატჩშიც გამოიჩინეს „ორლანდოსთან“ და დაამარცხეს იგი 20 ქულის უპირატესობით (სხვენი სხვადასხვა პროფესიონალთა მატჩებში იშვიათია) 139-119. „ვირის შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობს ავრეთვე, — „ბოსტონის“ — გამარჯვება „ნიუ-იორკთან“ — 115:102.

გთავაზობთ შაბათ-კვირის სხვა შეხვედრათა შედეგებს:

„ატლანტა“ — „მილუოკი“ 97:91.
„კლივლენდი“ — „ნიუ-ჯერსი“ 102:98
„იუტა“ — „დენვერი“ 121:110
„გოლდენ სტეიტი“ — „დალასი“ 132:114
„ჰიუსტონი“ — „საკრამენტო“ 95:94
„სიეტლი“ — „ორლანდო“ 105:96
„ვაშინგტონი“ — „მაიამი“ 101:96
„მინესოტა“ — „ფილადელფია“ 96:88
„ინდიანა“ — „დეტროიტი“ 125:107
„სან-ანტონიო“ — „ფენიქსი“ 109:101

აღმოსავლეთის კონფერენცია ატლანტის დივიზიონი

	თ.	მ.	%
„ბოსტონი“	56	22	717
„ფილადელფია“	43	35	551
„ნიუ-იორკი“	37	42	468
„ვაშინგტონი“	29	49	371
„ნიუ-ჯერსი“	24	54	308
„მაიამი“	23	55	295

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	57	21	731
„დეტროიტი“	48	31	607
„მილუოკი“	47	31	603
„ატლანტა“	42	36	539
„ინდიანა“	39	40	494
„კლივლენდი“	30	49	380
„შარლოტა“	24	54	308

დასავლეთის კონფერენცია შუა-დასავლეთის დივიზიონი

„სან-ანტონიონი“	52	26	667
„იუტა“	51	27	654
„ჰიუსტონი“	50	27	649
„ორლანდო“	28	50	359
„დალასი“	26	52	333
„მინესოტა“	26	52	333
„დენვერი“	19	59	244

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	61	18	772
„ლ.-ა. ლეიკერსი“	56	22	718
„ფენიქსი“	52	26	667
„გოლდენ სტეიტი“	41	38	519
„სიეტლი“	40	38	513
„ლ.-ა. კლიპერსი“	31	47	397
„საკრამენტო“	23	54	299

„სწრაფი“ ოცეული

ერთი საერთაშორისო ოსტატი, 4 ოსტატი, 42 ოსტატობის კანდიდატი და 23 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთი თითოეულს) დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა თასის გათამაშებაში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. 9 ტურს უნდა გამოევლინა ის 20 მოჭადრაკე, რომლებიც საქართველოს პირველობის ანალოგიური ტურნირის საგზურებს მიიღებდნენ.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ I-VI ადგილზე გასულ მოჭადრაკეთათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები. ბუნებრივია, თითოეული მოჭადრაკე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა უძლიერესთა შორის დაემკვიდრებინა ადგილი.

რთულ და დაძაბულ ბრძოლაში 7,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა გიზო ჭურღულიამ. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ფიდე-ს ოსტატი თეა ლანჩავა, ოსტატობის კანდიდატები; კახა შალამბერიძე და გიორგი ხომერიკი (კოეფიციენტთა ცხრილით ადგილები სწორედ ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა). შემდეგ მოდიან: V-VIII. გია ცქიტიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი, დავით ხოსრუაშვილი, ნოდარ გოგაძე— 6,5-6,5, IX-XII. გიორგი ყაჭეიშვილი, ნატო ეძგვერაძე, რომან სიჭინავა, მიხეილ კეკელიძე—6-6, XIII-XXI. ქეთევან მელაშვილი, ვასილ ვაშაკიძე, არჩილ წერეთელი, სოფიკო ტერელაძე, პაატა ვაშაკიძე, დავით უთმელიძე, ზურაბ ჩაჩუა, ირაკლი ჩაჩუა, ვიქტორ ტახტაროვი — 5,5-5,5.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ეს მოჭადრაკე იასპარეზებს „სწრაფ ჭადრაკში“ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაზე.

რაჩიკ ქარქაშაშვილი

ფიდე-ე შემოიღო

...იმ მოჭადრაკეთა „რანგ-ლისტი“, რომელთაც 20 წელი არ შესრულებიათ.

ვნახოთ, როგორ გამოიყურება ეს სია დღეისათვის. **ჭაბუკები:** 1. გატა კამსკი (აშშ) — 2640. 2. ალექსეი შიროვი — 2615. 3. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2600 4. ვლადიმირ აკოპიანი — 2555. 5-6. ვასილ სპასოვი (ბულგარეთი) და ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — 2550. 7. სერგეი ტივიაკოვი—2520. 8. კრისტოფელ ლუკი (გერმანია) — 2500, 9-10. ვლადიმირ კრამნიკი და ჟან-ლუკ შებანო (საფრანგეთი) — 2480 და ა. შ.

გოგოები: 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2540 2. ალისა გალიამოვა — 2435. 3. სოფი პოლგარი (უნგრეთი) — 2425. 4. ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია) — 2340. 5. ანა-მარია ბოტსარი (საბერძნეთი). 6. სვეტლანა კორკინა — 2285. 7. კინ კიანგი (ჩინეთი) — 2265. 8. ელენა რადუ (რუმინეთი). 9. ბათსეთრეგ ცაგაანი (მონღოლეთი) — 2230. 10-11. ვონგ პინი (ჩინეთი) და იულია ლევიტინი — 2220 და ა. შ.

„ბოლოდ“ — 27-28 აპრილს

27-28 აპრილს თბილისში უცხოელ ათლეტთა მონაწილეობით გაიმართება საქართველოს ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში. საქართველოდან ტურნირში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიაკითხონ ადგილობრივ სპორტკომიტეტებს და მათი მეშვეობით დაუკავშირდნენ საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციას.

ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა შეგეძლებათ ყოველდღე თბილისში, ასკ-ს დარბაზში (სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ გვერდით) 4 საათიდან.

ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების წარმომადგენლებს ვთხოვთ, დროულად წარმოადგინონ განაცხადები სპორტის დეპარტამენტში.

საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-14 ტირაჟების შედეგები:

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.291.146 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 9.684 მანეთი დაემატება მე-15 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 47.842 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (30) მოგება 2.947 მანეთია, ოთხისთვის (1.459) — 154.

საქართველოში: დაშვებულია 35.840 ვარიანტი. 6—0, 5—2, 4—30.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 20.041.770 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (29) მოგება 20.000 მანეთია, ოთხისთვის (5.698) — 165, სამისთვის (212.071) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 477.432 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—151, 3—5.689.

მე-14 და 5-14 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 27 აპრილიდან 27 მაისის ჩათვლით.

• • •

მე-15 ტირაჟის შედეგები

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 30 (ძალოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 40 (რიკაობა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა).

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-14 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.796.447 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3) მოგება 15.535 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (122) — 764 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.839) — 177 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 11.505 ვარიანტი. 13—0, 12—2., 11—92.

მე-14 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 27 აპრილიდან 27 მაისის ჩათვლით.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა: უ. ჭიკინაძე, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
ფოსტის — 380096
თბილისი, ს. ეროვნული, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ფოსტის განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვა“ — 23-87-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ლელოს“ ტელეფონი. 380096, თბილისი, ს. ეროვნული, 14. ითვლება ოფიციალური ფოსტა, საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის, 23.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20